ნიკოლოზ მედულაშვილი მედულაშვილებზე და არაშენდაზე. მასალა მომზადებულია ზეზვა მედულაშვილის მონაყოლის საფუძველზე.

მედულაშვილების ძირი და ფესვი გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდიდან ვითარდება. დანარჩენი მედულაშვილებიც აქედან არიან გაფანტულები საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ძირითადად - კახეთში. თუმცა, ზესტაფონშიც ყოფილა რამდენიმე ოჯახი და ისინიც ყოფილან გადასულები სოფელ ახალსოფლიდან, ყვარლის რაიონიდან. და ის კაცი, ვინც გადასულა ახალსოფელში ბასილა მედულაშვილის ძმა ყოფილა. თვითონ ახალსოფლელებს, ძველ გავაზელებს, მიაჩნიათ რომ სოფელ არაშენდის სანახებიდან გადასულან და იქ გამრავლებულან ახალსოფელში. არიან სხვა მედულაშვილებიც, რომლებიც ახალსოფლიდან გადასულან წინანდალში, ოღონდ ისინი უკვე მედოლიშვილები არიან, მაგრამ მედულაშვილობენ. მამაჩემი ზეზვა მედულაშვილი იცნობდა მამა-შვილს არჩილას და კაკოს, მედოლიშვილებს. მედულაშვილობენ ისინი, ოღონდ მედოლიშვილები არიან.

ის არჩილა ძია აქეთ პაპაჩემის ბიძაშვილის ბეჟანა ძიას გადანაჭერი იყო ისე ჰგავდა, ფერით, სახით. ის კაკოც ნანახი მყავს ადრე ახალსოფელში. მედოლიშვილები ახალსოფლელ მედულაშვილებთან ნათესაობენ და ხშირად ჩადიოდნენ ერთმანეთთან რელიგიურ დღესასწაულებზე. ისინი ჩვენს არაშენდელ მედულაშვილებსა ჰგავდნენ ძალიან, ფერ-ხორცით და შესახედაობით, ის არჩილა ძია აქეთ ბეჟანა ძიას, პაპაჩემის ძმისშვილს ჰგავდა და ის კაკოც, გადაჭრილი ქუჩო მედულაშვილი იყო, არაშენდელი. ანუ ეს ნიშნავს გენის ერთობას. ეს საკითხი გადაჭრილად მიგვაჩნია.

მაგრამ, ეს გვიანდელი საკითხებია, საიდან მოვდივართ, - აი ეს საძიებელია . . . მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ.

შეიძლება ჩვენი გვარი სხვა მსგავსი გვარისგან არის წარმოებული, მაგ. მედულაურებისაგან. ის, რომ მთასთან კავშირი გვქონდა, დიდად სავარაუდოა.

ორიოდე კმ-ში სოფ. არაშენდასთან არის სოფელი ფხოველი. ძველი ისტორიული სოფელი იყო, გაუკაცრიელდა, თუმცა ამჟამად ისევ დაიწყო ხალხმა დასახლება. ეს ხალხი, ვითომ უგზოობის გამო გადაასახლეს გურჯაანის რაიონში, თვითონ გურჯაანშიც. იქიდან მოკლე ჩასასვლელი გზა არის გურჯაანამდის, არაშენდიდან გურჯაანამდის დაახლ. 12 კმ იქნება.

მცირე აღმართია ლაკბის ხეობამდის არაშენდიდან, არაშენდის მიმდებარე გვერდზე სოფელს ქოდალას რომ გასცდები, ჩახვალ, ჩაღმართია ლაკბემდე. ლაკბიდან ერთი კმ იქნება ზიარამდის, გადახვალ დაეშვები და გურჯაანამდის არის სულ დაღმართი. სოფელი ფხოველიც იქვეა, გვერდით. ზიარსა და ფხოველს შუა ეხლა მოცარიელებული მინდორია. მახსოვს ბებერი კაკლის ხეები ამ მინდორზე ბავშვობაში, იქ სავარგულები იყო კოლმეურნეობისა მხოლოდ. ამ ადგილს ნანიანს ეძახიან, ქოდალელებიც, არაშენდელებიც, ზიარელებიც და ფხოვლელებიც. საქმე ის არის, რომ ეს ნანიანი, სოფელი უკვე სხვა ადგილას არის, ქვევით კაჭრეთის მიმართულებით. არაშენდის ქვემოთ მობმულია ნანიანი. ეს ბადებს ეჭვს, რომ ნანიანი ჩვენს ქვემოთ, ეტყობა თავის დროზე იქა სახლებულა ზიარსა და ფხოველს შორის. ანუ ეს რამდენიმე სოფელი არაშენდის გარშემო იგივე ფხოველი, ზიარი, ქოდალა, დარჩეთი, არაშენდის ოდნავ ჩრდილო-დასავლეთით. ეს ყველა სოფელი შემოდიოდა არაშენდის სასოფლო საბჭოში. საერთოდ, ყველანი ესენი ამოსულები არიან ფხოვლიდან და ეს ერთიანად იყო საანდრონიკაშვილო, თავადი ანდრონიკაშვილების სამფლობელო. ანდრონიკაშვილები ძმები, გაყრილები, ზოგს ქოდალაში ჰქონდა სასახლე, ზოგს არაშენდაში, აბელიანთ ეძახდნენ (აბელ ანდრონიკაშვილი, ერეკლეს გამზრდელი). არაშენდა დიდი სოფელი იყო. ზოგიერთი რაიონული მაშტაბის დაწესებულება იყო არაშენდაში.

ასე, რომ არაშენდელები ვართ, ძირითადად, მედულაშვილები, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარი არაშენდაში. როგორცა მსმენია მედულაშვილები ყოფილან ასევე სოფ.

მელაანში. ერთი მედულაშვილია ცნობილი, მელაანელი იყო, ხოხობა მედულაშვილი, რომელიც არაშენდაში მოკლეს აქ ჩასაფრებულმა სტრაჟნიკებმა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში. ის ყაჩაღი ყოფილა, თუ ტყის ძმა. მასთანვე იყო ჩემი დიდი პაპის ძმა ილია მედულაშვილი, იგივე შანათიშვილი, რომელიც ხარებასა და გოგიას რაზმის სიღნაღისა თუ გურჯაანის საძმოში იყო. ჩვენი შტო მედულაშვილებში შანათეს შტო ვართ. შანათიანთ გვეძახიან, ვიღაცა შანათე გვყოლია. ამისი ვერსიები არსებობს.

ჯიმითშიც უცხოვრიათ მედულაშვილებს. აქედანვე არიან გადასულები გურჯაანში. ორი-სამი მეც ვიცოდი, რეროაანი იყვნენ, იქით თაგვაანთი მედულაშვილები, გიორგი პაპა იყო აქეთ ჭრიღოაანთ მედულაშვილი. ჭრიღოაანი სახლეულებად არიან დაყოფილი, არიან კვირიანთები, ხოხონაანთები - იგივე თაგვაანთები, ლაშქარაანთები, კოტრანაანთები, შანათიანთ მედულაშვილები, არიან ჭუკიაანთები. ნანიანში არიან ხარაანთი, ტიტლიკანაანთ მედულაშვილები. სხვებიც ყოფილან.

შესაძლოა რამდენიმე ქართულ გვარს ერთი წარმოშობა ჰქონდეს: მედულაშვილებს, მედოლიშვილებს, მედულაურებს, მიდელაშვილებს, მედელაშვილებს, მეგულაშვილებს (თეთრ წყაროში. სოფ. საღრაშენი).

ეხლა რაც შეეხება ჩვენს წარმოშობას, ჩვენ წარმოშობით ფხოვლიდან ვართ. ფხოველი თავის დროზე დიდი სოფელი იყო. ეკლესიაც ჰქონდა. მამაჩემს, ზეზვა მედულაშვილს ნანახი აქვს ნანგრევები. მისი მოგონება: ადრე წაკითხული მაქვს, სულ სხვა თემებზე ვმუშაობდი მაშინ არქივში და სამეფო აქტებს ეძახიან, რუსეთმა რომ ჩაიბარა (მიიტაცა) ტრაქტატის საფუძველზე საქართველო, იქ ძველი საბუთები ათარგმნინეს რუსულად. ეს აქტები არის არქივში და იქ ამოვიკითხე დისერტაციის მასალებზე მუშაობის დროს. 1802 და 1804 წლებში რომ იყო აჯანყება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, მგონი ფარნაოზ ბატონიშვილის თაოსნობით, კონსპირაციული შეკრებები მაშინ ტარდებოდა სოფ. ფხოველში, რომელიც შედარებით ჩაყუჟულია მთებში და შეიძლება ამის გამოც აირჩიეს შტაბად. ამ სამეფო აქტებიდან ჩანდა, რომ შეთქმულები თითქოს გაუყიდია ვიღაც ბოდბელ მღვდელს, შემდეგ ეს აჯანყება ჩაიშალა. ჩააქრეს ყველა აჯანყებები, ასევე 1810 წლისაც. ასე, რომ ამ ფხოვლიდან ვყოფილვართ ჩვენ. ჩემს ბალღობაში არც ერთი მედულაშვილი აღარ ცხოვრობდა იქ, მხოლოდ ფხოვლის ბოლოს ბაკებიღა ჰქონიათ მედულაანთ და ეძახიან მედულაანთ ყურეს. ბუქია პაპა მედულა ყურეს ეძახდა. ლაკბე მაშინ წყალსავსედ მოდიოდა, კარგი გასადევარი ჰქონდა სოფელს, ტყე გვერდზე იყო, საძოვრებიც იყო. აქ, ალბათ, ანდრონიკაშვილებმა დაგვასახლეს, ერთ-ერთმა ძმამ - ერთი ზიარში იყო, მეორე ფხოველში იყო, მესამე ქოდალაში იყო, ფხოვლელები 4 წლამდე ქოდალის სკოლაში დადიოდნენ და შემდეგ არაშენდის სკოლაში მოდიოდნენ საშუალო სკოლაში. ზიარში 8 წლედი იყო. არაშენდელები ქოდალის წმინდა გიორგში ლოცულობდნენ. ძველი საეკლესიო ჩანაწერებიც იქიდან არის შემორჩენილი.

ჩვენ მედულაშვილები ვართ, მაგრამ ერთ ნაწილს შანათიშვილებს გვეძახიან, ბებიის გამო, რომელსაც დაარქვეს მეტსახელად შანათე. მაშინ ფხოველში იყო ლაკბისუბანი და პაპაჩემის ბებიას მელაანელ ნათიძეს, რომელსაც თავისმა დედამთილმა უთხრა „შაანათე, სოფიო შაანათეო, რომ საქონელი დაეთვალიერებინათ გომში და ქურდები შეეშინებინაათ“.

თვითონ ეს სიტყვა - ფხოველი რას ნიშნავს. სიტყვა ფხოვი ფშავს ნიშნავს ძველქართულად. ფხოვი საერთოდ ქართულ მთიანეთს ერქვა აქეთ ფშავ-ხევსურეთს. „ფხ“ ძირი მაინც ქართველსა ნიშნავს, ჩეჩნურად - „ფხია“. მოხევესაც ნიშნავს ფხია და ქართველსაც ზოგადად. ფხოვი - ფშავი. მაინც ხევს უკავშირდება, ხევი ნიშნავს მდინარესაც, ჩაღრმავებულ, ჩავარდნილ გამოხრულ ადგილს და თვითონ წყალიც ხევია. ჩეჩნები ფხიას მოხევეს უწოდებენ, ეს ალექსანდე ყაზბეგსაც აქვს ნახსენები; „ფხ“ „ფშ“, ფხოვი, ფშავი, ფშა არის წყარო ფშანი, ნაკადული პატარა. მთიელი - ფხოველი, ეტყობა ან კომპაქტურად ჩამოსახლდნენ, რაღაცას გამოექცნენ, სისხლის აღებას, ან სხვას, ისევე როგორც ალუდა ქეთელაური თემმა განდევნა. მთა მაინც მწირი ადგილია, დიდი შრომა უხდება იქ კაცს, რომ გაძლოს, თავი და ოჯახი შეინახოს.

ჩამოსახლდნენ ბარში. შეიძლება სოფელი უკვე იყო, ფხოველებიც ჩამოსახლდნენ, შეიძლება ჩამოსახლებულები უფრო მეტნიც იყვნენ, ვიდრე ბარში დახვედრილი ადგილობრივები და დაერქვა ფხოველი სოფელს. ფხოველი ნახსენები აქვს დავით გურამიშვილს, ლეკებთან რომ მივიდა, რუსის სტანიცაში კაზაკებთან, იქ იგონებს: „როგორც რომ რუსის კაზაკმა მე ერთმა მამიარაო, როცა რომ მყვანდა მივლიდა მეც მამაჩემი არაო, ადგა და გულზე მიმიკრა მკოცნა და ცრემლი ღვარაო, სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოვლელი იანვარაო“ მაშასადამე ფხოველი ნიშნავს ფშაველს, მაგრამ ფხოვლელი ნიშნავს სოფ. ფხოველის მკვიდრს. მაშასადამე ფხოვლელი აღმოჩენილა რუსეთში, როცა დავით გურამიშვილი გაექცა ლეკებს და იქ დახვდა ფხოვლელი იანვარა. თუმცა იანვარაშვილებიც არიან; ასევე იაგანაშვილები ცხოვრობდნენ ფხოველში ბევრნი, ბებიაჩემი ნატო იაგანაშვილი იყო და ჩემს ბავშვობაშიც მიხნიას ვიცნობდი იაგანაშვილს, მერე ისინიც გურჯაანში გადასახლდნენ. გამიგია, თითქოს - იანვარა ძიაო ბებიაჩემი ნატოს და ოლა იხსენებდა. სულ ოთხი-ხუთი გვარი ცხოვრობდა ფხოველში: ძირითადად მედულაშვილები, იაგანაშვილები, ჯავახიშვილები და ჯავარაშვილები. მახსოვს სკოლიდან ექსკურსიაზეც წავუყვანივართ, გურაზას ქვასთან ფხოველში, დიდი კლდე-ლოდია. ადრე ცნობილი სოფელი ყოფილა ერეკლეს დროს და ადრე. ბოდბელმა მღვდელმა რომ გასცა შეთქმულები, იქ ერთი ფრაზა იყო „ლაკბეზედ შევიყარენითო“. ადრეც ყოფილა ეს სახელები. ლაკბე უერთდებოდა იორს, იორი - ალაზანს, ალაზანი - მტკვარს და მტკვარი - მინგეჩაურის წყალსატევს. თავის დროზე გზა რომ გაეყვანათ ზიარში და ფხოველში, შერჩებოდა ხალხი. ეხლა უკან ბრუნდება ხალხი თავის ძველ საცხოვრისზე და ისევ ძველ მიწებს ეპატრონება. ჩვენი ძველი ხალხი ამბობდა, რომ მედულაშვილებს იქ ზედაშეები გვქონია ფხოველში. იქ იგონებდნენ წინაპრების სულებს და აწყობდნენ ნადიმს. ეხლა უნდა შევკრიბოთ ინფორმაცია ჩვენი წინაპრების შესახებ და არ უნდა ჩამოვრჩეთ ევროპელებს, რომლებმაც ხშირად 7-8 თაობა იციან და შვილებს გადასცემენ ამ ინფორმაციას.

მედულაშვილების გვართან დაკავშირებული კიდევ ერთი ვერსიაა: არაშენდაში ცხოვრობს კიდევ ბაწელაშვილის გვარის ხალხი. მაშინ არაშენდის ტოპონიმებს ვაგროვებდი 70-იან წლებში. ამ გვარის უხუცესმა კაცმა გიო ბაწელაშვილმა (ისემემ) დაახლ. 95 წლის კაცმა მომითხრო წინა საუკუნის 70 წლებში: „შვილო, მე პაპაჩემისაგან ვიცი, და იმან თავის მამისაგან იცოდა, რომ ჩვენა ვართ მედულაშვილებიო. ჩვენა გვყოლია უფროსი წინაპარი ჩვენი შტოს საფუძველდამდები ბაწელა მედულაშვილიო“. როგორც ეტყობა ეს ბაწელა შერქმეული სახელი უნდა იყოს იმ მედულაშვილებისა, გამოცვლის სახელი. „ბაწ“ ნიშნავს ლეკურად, ხუნძურად, ანუ ავარულ ენაზე მგელს. ბაწელაუ ნიშნავს მგლის ლეკვს, რაც, სავარაუდოდ, მეტსახელად დაურქმევიათ ლეკებს იმ კაცისათვის, რომლის ნამდვილი სახელი იმ გიო პაპამაც არ იცოდა. კახეთში ჩვეულებრივი ამბავია მეტსახელის შერქმევა. ამ გიო პაპამ მითხრა, რომ ეს ბაწელა მედულაშვილი მაგარი კაცი ყოფილაო და „სოფლის შამნახავი“ იყოო, ანუ მოჭირნახულე, ფიზიკურად, მოქმედებით და სიტყვიერადაც ძლიერი ადამიანი. ეს კაცი ყოფილა დაახლ. ზვიადაურივით, სტუმარმასპინძლიდან. გარეთ მავალი კაცი, სოფლის გუშაგი. რაკი ბაწელა მედულაშვილი ასეთი გამორჩეული კაცი ყოფილა და თვითონ ბაწელაშვილმა გიო პაპამ შემოინახა, ბაწელაშვილების მედულაშვილებიდან წარმოშობის ამ ვერსიას სრული უფლება აქვს იარსებოს. ეს ადასტურებს მედულაშვილების სულ ცოტა ორი საუკუნის ისტორიას ამ გვარით.

სტატისტიკის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით სულ დაახლ. 350 მედულაშვილი ვყოფილვართ რეგისტრირებული საქართველოში, უმეტესობა ცხოვრობს თბილისში და კახეთში. ყველაზე ძველი წყაროები, რაც მოვიძიეთ მედულაშვილის გვარის არსებობას ადასტურებს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისით. მამაჩემის თქმით, 1825 წელს საეკლესიო ჩანაწერში არის მოხსენიებული ვინმე იორდანე მედულაშვილი. ზეზვა მედულაშვილი ეცადა სახელმწიფო არქივში ქოდალოს საეკლესიო ჩანაწერების მოძიებას, მაგრამ 1860 წელზე ქვემოთ ვერ ჩავედით, ანუ სამუშაო კიდევ გვაქვს. არქივში მოვიძიეთ პაპაჩემის პაპის მამის სახელი, რაც აღარ გვახსოვდა.

2013 წლის 24 თებერვალს ღვთის მადლით და უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის კურთხევით დაილოცა მედულაშვილების გვარი. სამების ტაძარში შევიკრიბეთ სულ ცოტა ასი

მედულაშვილი. შემდგომ, ერთობლივი ძალისხმევით დაიხატა წმინდა გიორგის ხატი - ჩვენი გვარის დამცველი, რომელიც ამჯამად დაბრძანდება მედულაშვილების ოჯახში მორიგეობით, სულიერ ძალას გვანიჭებს და გვიძლიერებს ღვთის, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულს.

გვაქვს ჩვენი საგვარეულო ინტერნეტ ვებ-გვერდი Medulashvili.ge სადაც ყველა მედულაშვილს და ჩვენი გვარით დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია გამოგვეხმაუროს, განათავსოს თავისი სურათები, ისტორია, გენეალოგიური ხე წინაპრების მითითებით, გვაცნობოს მიღწევების შესახებ და უბრალოდ, გაგვიზიაროს თავისი აზრები, შემოგვთავაზოს სადისკუსიო თემა და ა.შ.

მედულაშვილები ვცდილობთ შევინარჩუნოთ გარკვეული ერთობა ერთმანეთთან, საზოგადოებასთან. ვიზიარებთ ქვეყნის პრობლემებს და მიღწევებს, ვცდილობთ მონაწილეობა მივიღოთ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში ვისაც როგორ და საიდანაც ძალგვიძს. გვარში გვყვავს უამრავი ღირსშესანიშნავი პიროვნება, რომლებითაც ვამაყობთ. ყველაზე ცნობილი ადამიანია აღმოსავლეთმცოდნე და პოლიგლოტი ზეზვა მედულაშვილი, რომელიც არის ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს კულტურის ამაგდარი, ქართული კულტურის დესპანი, მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, სომხური ეღიშე ჩარენცის პრემიის ლაურეატი, აზერბაიჯანული რამდენიმე პრემიის ლაურეატი, პანკისისა და დმანისისი საპატიო მოქალაქე, საბას პრემიის ლაურეატი და უამრავი სხვა წარჩინებისა და ჯილდოს მფლობელი - ინფორმაცია იძებნება ვიკიპედიაში. გვყვავს მედულაშვილები, რომლებიც ქვეყანას ემსახურებიან დიპლომატიურ დონეზე, მაგ. გავაზელი ლაშა მედულაშვილი, რომელიც არის საქართველოს ატაშე საფრანგეთში; თამარ მედულაშვილი, რომელიც წლები წარადგენდა ბრიუსელში ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. გვყვავს ასევე ცნობილი „ნახევრად-მედულაშვილები“ (დედით მედულაშვილი), მაგ. პროფესორი ელიზბარ ღონიაშვილი, რომლის ელექტროტექნიკის სახელმძღვანელოთიც იზრდებიან თაობები ტექნიკურ უნივერსიტეტში. გვყვავს უამრავი ნიჭიერი ადამიანი, საქმის პროფესიონალი, რომელიც საქართველოში ერთგულად ემსახურება საზოგადოებას.

ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ვიყოთ ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ფლაგმანი და მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, ვიზიარებთ იმ მიდგომას, რომ პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი. ღმერთმა გაგვამრავლოს და მოგვცეს ძალა, რომ „ყოველ დღეს რაღაც ვარგოთ“ ჩვენს ქვეყანას.

რატომ ჰქვია ჩვენს სოფელს არაშენდა

სოფელს, როგორც მისი სახელი ამხელს დალხინებული წარსული არ ჰქონია: ხალხი აშენებდა, მტრები-ანგრევდნენ!. ასევე უნდა ვიგულისხმოთ, ალბათ, ამავე სახელის მქონე, ზემოთ უკვე ხსენებული, სხვა ქართული სოფლების ისტორიული ხვედრიც. არადა, სოფლის სახელად იშვიათად თუ შეგხვდებათ სხვა მსგავსი სიტყვა, რომელიც უფრო მეტი ნიშანდობლივობით ღაღადებს ამ სოფლის, ანუ იმ სოფელში მაცხოვრებელი ხალხის ჭირ-ვერამიან თავგადასავალს, ვიდრე ეს “არ-აშენდა”. სწორედ ამასვე გულისხმობდა დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელმაც მოზრდილი წერილი მიუძღვნა საქართველოში “არ-აშენდად” დასახელებული სოფლების ისტორიული გმირების კვლევას და თვით ამ დასახელებაში ჩაბუდებულ ეროვნულ ტკივილს. წერილის ბოლოს დიდი პოეტი საკითხს აყენებდა, იქნებ თანამედროვე ყოფის შესაბამისად ახლა “არაშენდა” “აშენდად” გადაგვეკეთებინაო.

ზემოთქმული უფრო იმიტომ მოვიტანეთ,რომ ჩვენი არაშენდელებისთვის დიდი მამულიშვილის ის სიტყვიერი თანაზიარობა და ყურადღება გარკვეულად საამაყოა.

არაშენდა დღეს აშენებული სოფელია, ღონიერი სოფელი. მართალია მას ბევრი პრობლემა აწუხებს, როგორც სხვა ქართულ სოფლებს და, საერთოდ, მთელს საქართველოს, მაგრამ ამ სახელის პატრონი და ამ სახელით დღემდე მოსული, დღეს უკვე წელგამართული სოფელი, ალბათ კვლავაც ღირსეულად იშრომებს, იბრძოლებს და იმრავლებს თავისი თავისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

არაშენდა საკმაოდ დიდი სოფელია 600-ზე მეტი კომლი მოითვლება. სოფლსაბჭოში ადრე ოთხი სხვა სოფელიც შემოდიოდა: ზიარი, ფხოველი, ქოდალო და დარჩიეთი. ამათგან ქოდალო და დარჩიეთი უშუალოდ ემეზობლებიან არაშენდას (ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით), ფხოველი და ზიარი კი ცოტა მოშორებით 2-3 კილომეტრში სახლობენ (ჩრდილოაღმოსავლეთით). ხსენებულ სოფლებში მხოლოდ დაწყებითი სკოლები ჰქონდათ, ამიტომ მათი მოსწავლეები დაწყებითის დასრულების შემდეგ არაშენდის საშუალო სკოლაში განაგრძობდნენ სწავლას.

უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, არაშენდის ამ ადგილას დაფუძნებისა და მისი სახელის თაობაზე ხალხში რამდენიმე გადმოცემა არსებობს. ერთი ვერსიით, ვითომ, ძმები ანდრონიკაშვილები, რომ გაყრილან, ერთ-ერთ ძმას თავისი კუთვნილი ყმები ფხოვლიდან, რომელიც შედარებით დაბლა, ლაკბის ხევში მდებარეობს, მაღლა, არაშენდის ზეგანზე ამოუყვანია და აქ დაფუძნება გადაუწყვეტავს. დაუწყია სახლის შენება. გაუმწკრივებია, ვითომ, თავისი ყმები ამ მშენებარე სასახლიდან (რომელიც დღეს არაშენდის საშუალო სკოლას წარმოადგენს) ლაკბის ხევამდე და ეს ყმები ხევის რიყეზე აკრეფილ სამშენებლო ქვას ხელიდან ხელში გადაცემით ზემოთ (ხევი დაბლაა, არაშენდიდან 3 კილომეტრზე) კალატოზს აწვდიდნენ. ხევში მყოფი პირველი ქვის მომკრეფი ყმა, რომელიც ვეღარ ასწრებდა ქვის მოძიებას, აღებას და გადაწოდებას, დაღლილა თურმე და უთქვამს: "აღარ აშენდა ის ოხერიო, არ აშენდაო! ბოლოს და ბოლოს!". ვითომ ეს "არ აშენდა" დასდებია საფუძვლად სოფლის სახელს.

მეორე ვერსიით, ვითომ ახალმოშენე სოფელში ყმები არ დგებოდნენ და ისევ უკან ლაკბის ხეობაში გარბოდნენ, რადგან იქ ტყეც და წყალიც უფრო ახლოს იყო (არაშენდის ზეგანზე ტყეც და წყალიც შედარებით ნაკლებად იყო) და მესაქონლე-მეურნე ხალხს იქ უფრო ერჩივნა ცხოვრება. ასე რომ თავადიშვილს ვითომ ყმები გაჰქცევია და ძმას ნიშანი მოუგია მისთვის: "ეგე, შენი სოფელი არ "აშენდაო!""

რაღა თქმა უნდა, არცერთი ეს ვერსია მისაღები არ არის და ხალხური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. მართალი კი ის უნდა იყოს, რაც ზოგადად ყველა ამ სახელის მქონე სოფელს მიესადაგება მთელს საქართველოში: – ხალხი აშენებდა, მტერი– აოხრებდა; კიდევ და კიდევ–ხალხი აღადგენდა ნაოხარს, დანგრეულს, მტერი ისევ ანგრევდა. აი, ეს უნდა იყოს მართალი. ეს სახელი თავისი წარმოშობის ისტორიას თვითონვე გვამცნობს.

არაშენდა უფრო ძველი სოფელია, ვიდრე ამას ხალხში არსებული გულუბრყვილო გადმოცემები ითვალისწინებენ. ეს სოფელი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ქრისტიანობამდეც არსებულა, ოღონდ კაცმა არ იცის, პირველ დაარსებისას რა ერქვა ან რამდენჯერ იცვალა სახელი, ვიდრე

მრავალჯერ აოხრებულსა და ხელახლა გაშენებულს საბოლოოდ ის სახელი არ შერჩა, რაც ახლა ჰქვია. ამას ის მაფიქრებინებს, რომ სოფლის ბოლოს, სოფელ ნანიანის მხარეს, დღესაც არის ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ხალხი თელეთის ეკლესიას ეძახის. არაშენდის მინდვრებზე კი ხვნისას ხშირად ამოდის ბრინჯაოს ხანის იარაღები და აღკაზმულობა.

არამგონია ჩვენს "თელეთს" რაიმე კავშირი ჰქონდეს თბილისის არსებულ, ცნობილ თელეთის ეკლესიასთან. ეს სახელი, ალბათ, უფრო იმიტომ ეწოდა, რომ არაშენდასა და მის მიმდებარე სოფელ ნანიანს პატარა ღელე ჰყოფს ერთმანეთისგან, რომელსაც თელეთ-ღელე ჰქვია (ამ ღელეში და მის აქეთ-იქით ბევრი თელა დგას). ამ ჩვენს თელეთის ეკლესიას თავისი სასაფლაოც ჰქონდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ, სავენახედ თუ სხვა მიზნით, დიდი ტრაქტორით ღრმად დაუბრუნებიათ (მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი, მაგრამ ეს ამბავი პაპაჩემს კარგად ახსოვს, რადგან ხსენებული სასაფლაო სწორედ ჩვენი ბოსტნის გასადევარზეა) და მოხვნისას გუთნის ფრთებს ძველისძველი პიტალო ქვებით ამოშენებული სამარხები ამოუყრია. სამარხებში დაკრძალულ მიცვალებულთა ჩონჩხების გარდა უნახავთ მათთვის ჩატანებული უამრავი კერამიკული ნიმუშები თუ სხვადასხვა სამკაული, ზოგი დაშლილ–დამტვრეული და ზოგიც მთლად საღი. პიტალო სალებით ამოყვანილი სამარხები უძველეს ნამოსახლარზე მიუთითებს, ქრისტიანული ეკლესია კი, შესაძლებელია, უფრო მოგვიანებით, ქრისტიანულ პერიოდში აშენდა, თანაც, შეიძლება, რამდენჯერმე დაინგრა (მტრისგან) და ისევ აშენდა (ხალხისგან), სანამ საბოლოოდ დაინგრეოდა და მიწასთან გასწორდებოდა, როგორც კიდევ ამჟამად არის.

ასე რომ, სოფელ არაშენდის წარმოშობაზე და მისი სახელის რაობაზე არსებული ხალხური ვერსიები ისევ ხალხურ ფანტაზიას და დროთა შორის კავშირის გაწყვეტას უნდა მივაწეროთ.

ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ანდრონიკაშვილების კავშირს არაშენდასთან, ამაზე შემდეგია ცნობილი: ანდრონიკაშვილები იყვნენ საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი კახელი თავადები, მეომრობითა და მამულიშვილობით განთქმულნი. ისინი იყვნენ კახეთის უკანამხრისა და ქიზიყის მოურავები. მათი სამკვიდრო იყო სწორედ სოფელი ფხოველი, ზიარი, ქოდალო, არაშენდა, ნანიანი, დარჩიეთი და სხვა რამდენიმე სოფელიც. დღესაც არის შემორჩენილი მათი ყოფილი სასახლეები არაშენდაში (ერთში საშუალო სკოლაა, მეორეში–სარაიონთაშორისო ტუბსაავადმყოფო რომელშიც ორმოციან წლებამდის ე.წ სამეურნეო სკოლა იყო გახსნილი, გერმანიასთან ომის წლებში კი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი ("პრიუტი"). სოფელ ქოდალოს დაწყებითი სკოლის შენობა, ასევე, ანდრონიკაშვილების ყოფილი სახლია. ამ გამოჩენილმა თავადურმა გვარეულობამ ბევრი გმირი, საზოგადო მოღვაწე და კულტურისა თუ ხელოვნების ასპარეზზე სახელოვნებით გამორჩეული პიროვნება მისცა საქართველოს. არაშენდელებს ეამაყებათ, რომ სწორედ მათი სოფლიდან იყვნენ საქართველოში ცნობილი ისეთი სახელოვანი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ერეკლე მეფის გამზრდელი და თანამებრძოლი დიდი აბელი ანდრონიკაშვილი, მისი ჩამომავალნი–ზაქარია ("მიწის მგელი"), მალხაზ და ივანე ანდრონიკაშვილები. ივანე ანდრონიკაშვილი, ვის სახლშიც დღეს არაშენდის საშუალო სკოლაა, იყო მეცხრამეტე საუკუნეში ცნობილი პიროვნება და ვაჟკაცი, კავალერიის გენერალი, ბაშკადიკლართან ომის გმირი, დასაფლავებულია არაშენდაში საგვარეულო სასაფლაოზე. ასევე ანდრონიკაშვილი იყო ქართული კინოს მშვენება ნატო ვაჩნაძე, რომელიც ფხოველში დაიბადა.

ყველა სახელოვან ადამიანს, რომელიც არაშენდაში თუ საარაშენდოში დაბადებულა და სამშობლოში სახელი გაუტანია, ვერც ჩამოვთვლი და მოცემული თემის განსაზღვრულობის გამო, არცაა საჭირო,

მთავარია, რომ არაშენდელებს ეამაყებათ სახელოვანი წინაპრებიც და თანამედროვე სახელიანი თანასოფლელებიც.
არაშენდის საშუალო სკოლას მრავალი თაობა გამოუზრდია, რომელთა უმეტესობაც მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა თუ სოფლის მეურნეობის დარგში, ან, უბრალოდ, ცხოვრების სხვა ასპარეზზე, დღესაც წარმატებით იღწვიან და შრომობენ. სოფელმა თავის თავსა და ქვეყანასაც, მისცა ბევრი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, ფიზიკოსი, ფილოლოგი, არტისტი თუ სხვა დარგის მუშაკი, რომელთაგან ზოგი რესპუბლიკის მაშტაბითაც და მის გარეთაც გახდა ცნობილი. ყველას ვერ გავწვდები ზოგი არც მე ვიცი და ზოგიც ვერ მოვიძიე, რამდენიმეს კი, მაგალითისთვის, დავასახელებ: გიორგი ხარაზიშვილი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი), ლიგური მოსულიშვილი(ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი), ზაზა ბაწელაშვილი (მწერალი, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი), ზეზვა მედულაშვილი (მწერალი, მთარგმნელი, აღმოსავლეთმცოდნე, სომხეთის ეღიმე ჩარენცისა და საქართველოს ივანე მაჩაბლის ლიტერატურული პრემიის ლაურეატის მფლობელი, საბას პრემიის ლაურეატი).

აღარ გავნაგრძობ. დაე, გვაპატიოს მათ, ვინც ამ სიაში ვეღარ მოვახვედრეთ, მათი სიმრავლის გამო, ოღონდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არაშენდის საშუალო სკოლას, რომელსაც წლების წინათაც, როგორც გამიგია, შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი ჰყოლია, დამერწმუნებით, მათ მადლობა ეკუთვნით ასეთი პიროვნებების გამოზრდისათვის. სოფელში დიდი სიყვარულით იხსენებენ აწგანსვენებულ ვასილ გიოშვილს, ანუ უბრალოდ, ვასო მასწავლებელს, მაღალნიჭიერსა და ბრძენ კაცს, რომელიც ათეული წლების მანძილზე, დირექტორობდა და ხელმძღვანელობდა არაშენდის საშუალო სკოლას. არაშენდა ისეთივე მადლიერებით იგონებს სხვა მასწავლებლებსაც (არჩილ გიოშვილს, ლილი ჩარგეიშვილს, იოსებ ტუნკიშვილს, სანდრო ბაწელაშვილს და სხვ.), ვინც დღეს ცოცხალი აღარ არიან, მაგრამ სიცოცხლეში მაღალი პედაგოგიური შეგნებით ემსახურებოდნენ საყვარელ საქმეს–ბავშვების აღზრდას–და ბევრი კარგი შვილი გამოუზარდეს საქართველოს.

არაშენდის სკოლაში, ოცდაათიან წლებში, მასწავლებლობდნენ აგრეთვე შემდგომ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორები გახდნენ: პავლე ზერაგია (მათემატიკოსი) და სოლომონ ხუციშვილი (ფილოლოგი, ჟურნალისტი). არაშენდელების უფროსი თაობა დღესაც მადლიერებით იგონებს მათ. ბატონი სოლომონი ძველ მოგონებათა ნაკვალევზე, ერთხელ სტუმრადაც კი ეწვია არაშენდის საშუალო სკოლას. ეს 70–იან წლებში მომხდარა. მაშინ ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი, მაგრამ ჩემი ოჯახის უფროსებსაც და სოფელში ბევრსაც კარგად ახსოვს, თურმე როგორ ცრემლმორეული ეალერსებოდა მხცოვანი პროფესორი არაშენდის ცენტრში, საბჭოს შენობის კედელზე გამწკრივებულ, თავისი ყოფილი მოსწავლეების სურათებს, რომელთა პატრონებიც სამამულო ომში დაიღუპნენ. სოფელმა კი ბევრი, ბევრი შვილი დაკარგა იმ დიდ ომში.

არაშენდაზე, ჩემს მშობლიურ სოფელზე, კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა (ბევრი დამავიწყდა, ბევრი რამ მე თვითონაც არც ვიცი), მაგრამ ეს ყველაფერი, შეიძლება, ერთ დიდ ტომშიც არ ჩაეტიოს, არამცთუ ასეთ მოკლე წერილში,თანაც, გარემოების გამო, ასე მშრალად გადმოცემულში.

არაშენდა, თავისი სახელის ტრაგიკული ელფერის მიუხედავად, მტრის საწყინარად და მოყვარის გასახარად, დღესაც დგას, არსებობს, ცხოვრობს, შრომობს, იბრძვის, სწავლობს, სტუმრობს, მრავლდება და იმედიანობს სამომავლოდ.